დევიდ ლინჩი თბილისშია



მსოფლიო კინოს ლეგენდა, რეჟისორი, მწერალი და პროდიუსერი დევიდ ლინჩი თბილისშია. იგი საქართველოში რამდენიმე საათის წინ პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდა.

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი თბილისში საკუთარი ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ბობ როტთან ერთად ჩამოვიდა.

ორგანიზატორების თქმით, დევიდ ლინჩსა და მის გუნდს საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა.

„გავიცნობ თქვენს ქვეყანას. პირველად ვიმყოფები საქართველოში, გაიმართება შეხვედრები და საჯარო ლექცია“, – განუცხადა ჟურნალისტებს დევიდ ლინჩმა.

დევიდ ლინჩი 20 ნოემბერს 12 საათზე თბილისი მარიოტში ჟურნალისტებს შეხვდება, 19 საათზე კინოთეატრ “ამირანში” მისი ფილმის “მალჰოლანდ დრაივის” ჩვენება მოეწყობა, კლუბში “ხიდი” კი დევიდ ლინჩი მისი შემოქმედების მოყვარულებს შეხვდება და საქართველოში დევიდ ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნაზე ისაუბრებს. ღონისძიება კითხვა–პასუხის რეჟიმში გაიმართება.

„დევიდ ლინჩის ფონდი კავკასიაში” 2017 წლის 25 ივლისს დაარსდა. მისი პრეზიდენტი რეჟისორი გიგა აგლაძეა. ფონდი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს და რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს.

DAVID LYNCH IS IN TBILISI

The world film legend, film director, scriptwriter and producer David Lynch is in Tbilisi. He arrived in Georgia a few hours ago on his private jet.

The famous American film director arrived in Tbilisi together with the CEO of his Foundation Bob Roth.

According to the organizers, David Lynch and his delegation will have a possibility to get acquainted to the Georgian culture, history and traditions.

"I'll get acquainted to your country. I'm for the first time In Georgia, there will be meetings and a public lecture", - announced David Lynch to the journalists.

David Lynch will meet with the jountalists in the hotel Tbilisi Marriott on the 20th of November at 12:00 and at 19:00 his film "Mulholland Drive" screening will be organized. The club "Khidi" will host David Lynch where he'll meet with the public and speak about opening of David Lynch international film school in Georgia. The meeting will be held in Q& A format.

"David Lynch Foundation Caucasus" was founded on the 25th of July of 2017. Its president is a film director Glga Agladze. The foundation unites Georgia, Azerbaijan and Armenia and will be working in several directions.